ბოლო 10 წუთში

სკა (ოდესა) - "დინამო" (თბილისი)

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 11 ივლისი. თავსხმა წვიმა. 18 გრადუსი. 27 000 მაყურებელი.

მსაჯი კ. ანძიულისი; გვერდითი მსაჯები კ. ბირეტა და იზოკაიტისი (ყველა კაუნასი)

ოდესა, 11 ივლისი (ტელეფონით). **თამაშის დამთავრებამდე 9 წუთი იყო დარჩენილი, როცა ვ. ბარქაია ბურთით გაიჭრა არმიელთა ორ მცველს - არხიპენკოსა და ჟილკინს შორის და გახსნა ანგარიში - 1:0.**

რა იყო მანამდე?

მატჩის **მსაჯმა კ. ანძიულისმა (კაუნასი)** მინდორზე გამოიძახა გუნდები:

სკა (ოდესა) - გრიშკოვი, ზახაროვი, არხიპენკო, მასლოვსკი, პანოვი, ჟილკინი, კაპანაძე (ნემეროვსკი-78), პეტროვი, ბლინდერი, სეკეჩი, სპირიდონოვი;

"დინამო" (თბილისი) - კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი (ილიადი-75), ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან სათამაშოდ მასპინძლებმა მობილიზაცია უყვეს მთელ თავიანთ ძლებს. სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილის გამო მათ უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდათ... ამიტომ იყო, რომ არმიელები უმალვე ეკვეთნენ მეტოქეს და დიდხანს ავიწროებდნენ თბილისელთა დაცვას. ბლინდერს, სპირიდონოვს და სეკეჩს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის საკმაოდ კარგი შანსები, მაგრამ ეს მათ ვერ გამოიყენეს.

დინამოელები, ალბათ, ელოდნენ აუტსაიდერთა ასეთ თავგანწირულ მოქმედებას: მათ გაამაგრეს დაცვის პოზიციები, პანიკას არ მიეცნენ და ოსტატურად მოიგერიეს ოდესელთა ყველა იერიში. რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო კოტრიკაძემ.

"დინამოს" თავდასხმამ კარგა ხანს ვერ შეძლო კონტრშეტევათა განხორციელება. ეს იქნებ გამოწვეული იყო თბილისელთა წამყვანი ფორვარდების გადაღლით ბრაზილიასთან და მოსკოვის "ტორპედოსთან" ძნელი მატჩების შემდეგ. ამას ისიც დაემატა, რომ თამაშის დროს გამუდმებით წვიმდა და მინდორი წყალბურთის ასპარეზს უფრო ჰგავდა.

75-ე წუთზე დათუნაშვილი შეცვალა ილიადიმ და ამის შემდეგ თბილისელები მინდვრის შუაგულის სრული ბატონ-პატრონნი გახდნენ. ჩემპიონმა თამაში ააწყო და, როგორც ზემოთ ვთქვით, **81-ე წუთზე ბარქაიამ გახსნა ანგარიში**.

თბილისელთა იერიშებმა უკვე მრისხანე სახე მიიღო და აი, **3 წუთის შემდეგ იმავე ბარქაიამ კვლავ მოატყუა არხიპენკო და ანგარიში ორამდე გაიზარდა. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ილიადიმ მასპინძელთა კარში შორიდან დაარტყა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა - 3:0.**

***

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს ოდესელებმა - 3:2. გოლები გაიტანეს: ტაცენკომ (2), სატაევმა (სკა); ხუციშვილმა და მაისურაძემ ("დინამო")

ო. ლაპინსკი.

"ლელო", 13 ივლისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 13.07.65.